ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

12 თვით . .	10 მ.	— კ.
11 ,, . .	9 ,,	50 ,,
10 ,, . .	8 ,,	75 ,,
9 ,, . .	8 ,,	— ,,
8 ,, . .	7 ,,	25 ,,
7 ,, .	6 ,,	50 ,,
6 ,, . .	6 ,,	— ,,
5 ,, . .	5 ,,	50 ,,
4 ,, . .	4 ,,	75 ,,
3 ,, . .	3 ,,	50 ,,
2 ,, . .	2 ,,	75 ,,
1 ,, . .	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 9 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 9

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

„ივერიის გამომცემელ ამხანაგობისაგან"

„ივერიის გამომცემელი ამხანაგობა" ამით აცხადებს, რომ კვირას, 1905 წ. 23 იანვარს, დილის 11 საათზედ ქ. ტფილისში დანიშნულია ამხანაგობის საზოგადო კრება ზუბალაშვილების სახლებში, გოლოვინის პროსპექტზედ, არტისტიულ საზოგადოების პირდაპირ. კრებამ უნდა დაამტკიცოს ამხანაგობის გამგეობის დადგენილება გაზ. „ივერიის" გადაცემის შესახებ.

შაბათს, 15 იანვარს, სოფელ მაღაროს კარის ეკკლესიაში გადახდილი იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

თადეოზ დავითის ძის ნაცვლიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა **მელანია რევაზის-ასული ნაცვლიშვილისა** და **დანი—ელისაბედ დავითის ასული ნატროშვილისა, ალექსანდრა დავითის ასული ნაცვლიშვილის მეუღლე, ანასტასია** და **მარიამ დავითის ასულნი ნაცვლიშვილისანი** და **ბარბარე დავითის ასული კნეინა ვაჩნაძისა**

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზედ (2—2).

ახალი განცხადება

1905 წლის 14 იანვრიდან

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ფასი 10 მანეთი ერთის წლით. „ივერია" ცალკე ნომერი 3 კაპეიკი.

წელიწადი ოცდა მეცხრე

გამოვა ყოველ დღე, ორშაბათობითაც

განახლებულის რედაქციით

და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით

გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება

ამასთან წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში

პრემიად 12 წიგნს

შემდეგის საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა". ამ წიგნებში მოთავსებული იქნება: ბელლეტრისტიული, პუბლიცისტური ეკონომიური და ისტორიული წერილები უმთავრესად საქართველოს ცხოვრების შესახებ, აგრეთვე ოჯახში გამოსადეგი ცნობები და დარიგებანი და სხვანი.

როგორც თვით გაზეთში, ისე საპრემიო წიგნებშიაც იქნება ხოლმე

სურათები და სხვა და სხვა **ილუსტრაციები**.

გაზეთის წლიური ფასი რჩება იგივე, რომლის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: წლის დამდეგს 4 მან., 1 მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მან., ვინც ნახევარ წლით, ან თვიურად გამოიწერს, უნდა შემოიტანოს თვეში თითო მანეთი.

სახალხო სკოლების მასწავლებლებს, თვით სკოლებს და სახალხო სამკითხველოებს გაზეთი პრემიებითურთ დაეთმობათ 7 მან. ან ნახევარის წლით 4 მან., ამ შეღავათიან ხელის მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ხვედრი ფული: ყოველთვე თითო მანეთი, ვიდრე სრული შემოსატანი შესრულდებოდეს.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа".

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 13 (აბონემენტის გარეშე).

სახაზინო თეატრი

ხუთშაბათს, 13 იანვარს, 1904 წ.

◆ **ბენეფისი ნატ. მ. გაბუნია-ცაგარლია** ◆

ქართულ დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

ახალი პიესა

ჩვენი ნაცნობები

სცენები 1 მოქმ., თხზ. კ. დოდაშვილისა.

II

ცოლი უღელის მწეველი

დრ. 4 მოქმ. და 5 სურ., გადმ. ა. ყაზბეგის-მიერ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ◆ **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

მზადდება წარმოსადგენად: «კრიჭინა», «იულიოს კეისარი», «რუი-ბლაზი», აზიანის ახალი პიესა «სამშობლოს ბურჯნი» და სხვ.

მახანაგობის დირექცია.

მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

დაიბეჭდა და ისყიდება წიგნის მაღაზიებში

ახალი წიგნი

აღდგომა

რომანი გრაფ. ლ. ტოლსტოისა.

თარგმ. პ. კალანდაძისა. გრ. ყიფშიძის რედაქციით.

ფასი 1 მან. 20 კაპ.

წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივის შეღავათით დაეთმობათ. «ივერიის» ხელის-მომწერთათვის წიგნი ჰღირს **ერთ** მანეთად.

ყოველ-კვირეული ჟურნალი

წელიწადი

მოგზაური

მეხუთე

პირველი

გამოვა 1905 წელს 16 იანვრიდგან ვრცელ პროგრამით.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ფილ. მახარაძე, ივ. გომართელი, ნ. ელიავა, ი. ევდოშვილი, ი. კვიცარიძე, ნ. კალანდიძე, ლალიონი, გ. მარმალაძე, ყვირილელი, კ. ჯაფარიძე, ა. წულიკიძე, გ. წულუკიძე და სხვები.

ჟურნალის ფასი გაგზავნით რუსეთის ქალაქებში:

ერთის წლით—5 მან. ◆ ნახევარ წლით—3 მან. ◆ ცალკე №—სამი შაური.

წლიური ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში: «**მოგზაურის**» რედაქციაში (რეუტოვის ქუჩა № 21) და წერა-კითხვის საზოგად. მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან, ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან, ჭიათურაში—ირ. დეკანოზიშვილთან, სამტრედიაში—ყარამან ნანეიშვილთან, ხონში—ექიმ კიკალაშვილთან.

რედაქცია იმყოფება რეუტოვის ქუჩაზე № 21.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „МОГЗАУРИ".

რედაქტორ-გამომცემელი ი. ზ. როსტომაშვილი.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

ხუთშაბათს, 13 იანვარს,

ბენეფისი გაბუნია-ცაგარლისა

წარმოდგენილი იქმნება

I

ჩვენი ნაცნობები

სცენები 1 მოქმ., თხზ. კ. დოდაშვილისა.

II

ცოლი უღელის მწეველი

დრ. 3 მოქმ. და 5 სურ., გადმ. ა. ყაზბეგის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

—

პარასკევს, 14 იანვარს,

წარმოდგენილი იქმნება

მანდარინის შვილი

ოპერა 1 მოქმ., მუსიკა ც. კუისა

სელსკაია ჩესტ

და

მოცარტი და სალიერი

—

შაბათს, 15 იანვარს,

ბენეფისი ი. პოლუიანოვისა

წარმოდგენილი იქმნება

ევგენი ონეგინი

ამ მოკლე ხანში იქმნება ბენეფისი კასირი ქალის სტრელკოვისა.

—

მზადდება წარმოსადგენად «**ზიაზია**», ოპერა 3 და სურ., მუსიკა ლეონკოვალლოსი.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კელლერი.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

წვრილი ამბები. ბ. გარინი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: ჩინელები ამბობენ 19 დეკემბრიდან გენ. ნოგის არმია იაპონელების ცენტრთან მოდისო, სხვათა შორის, 600 ტყვიის მტყორცნელიც მოიტანესო. ამბობენ, იაპონელები რუსის ლაშქრის ცენტრის გარღვევას აპირობენო („რ. ს.")

—

«ნიუ-იორკ ჰერალდ»-ის კორესპონდენტი დაწვრილებით ასწერს გენ. მიშჩენკოს თარეშს და უმატებს: ამ თარეშმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ცხენოსანი ჯარი ვერას აკლებს გამაგრებულ ქვეითა ჯარსაო. («ნ. ვ.»).

—

ერთი უცხოელი აფიცერი სწერს გაზ. «ტაიმს»-ში: რუსის ჯარის კაცებს მეტად მოჰბეზრდათ ომი და იმის გათავებას ელიან. რუსებს ჯარის რიცხვის იმედი უფრო აქვთ, სანამ სხვა რისამეო. (ბ.ვ.")

—

«ნოვოე ვრემია»-ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ხუანშანიდან: პუტილოვის გორის აღება აქამდე სწორედ გამოკვლეული არაა. აქამდე ვერ გაიგეს სწორედ, რომელმა პოლკმა აიღო ეს გორა. ამ ბრძოლის გამოკვლევა მთავარ სარდალმა ცალკე პირს მიანდო.

«რუსკაია ვედომოსტი»-ს კორესპონდენტი სწერს, ეხლანდელი იარაღი დიდ ზარალს აძლევს ჯარსაო. ჯერ კიდევ არ ვიცით სწორედ ჯარის ზარალი, მაგრამ გამოცხადებულ ოფიციალურ ცნობებიდანაც-კი სჩანს, რომ ზოგიერთ ბრძოლის დროს ჯარის კაცთა ზარალი 60% მდე ადიოდა, ესე იგი 100 კაცში 60 კაცსა ჰკლავდნენ, ან სჭრიდნენ, აფიცრებისა ხომ 80-%-მდეც ადიოდა. ზოგიერთ დიდ რაზმში მხოლოდ ჯარის 25—30%-ღა გადარჩა. თვით არტილერიასაც კი 75%-მდე აკლდებოდა, როდესაც წინანდელ ომებში 15—20% დიდ ზარალად ითვლებოდაო.

«რუსკია ვედომოსტი» 1905 სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვას იხილავს. გაზეთი სწერს: რუსეთის ფინანსთა მინისტრი თავის მოხსენებაში იუწყება,—აქამდე იაპონიასთან ომი 621 მილიონი მანეთი დაჯდაო. ეს ციფრი მხოლოდ მიმდინარე ხარჯებს შეადგენს; ამას რომ წყნარ ოკეანეში ჩაძირული გემები ან დალნისა და პორტ-არტურში დანგრეული შენობები და სიმაგრეები დავუმატოთ, სულ სხვა ჯამი გამოვაო.

პორტ არტურის უკანასკნელი დღეები. «დეილი ექსპრეს»-ის კორესპონდენტი დაწვრილებით ასწერს, როგორ გამოვიდა რუსის ჯარი პორტ არტურიდან: სამი დღის განმავლობაში რუსის მეციხოვნე ჯარი მტრედის ბუხტის ნაპირას სოფ. იაპურავასთან შეკრიბეს. იაპონელმა კომისარებმა რუსები დათვალეს და ჩასწერეს, ჯანმრთელი ჯარის-კაცები სადგურ ჩინლინძუში გაგზავნეს, მტრედიდან 15 ვერსის მანძილზე, იქიდან დალნიში წავლენ და მერე-იქიდან ზღვით იაპონიაში გაიგზავნებიან, რუსის ჯარი ცალ-ცალკე რაზმად მიდიოდა, თითო რაზმში რამდენიმე ასი კაცი იყო; ცივი, სუსხიანი ქარი ჰქროდა, ჯარს სიარული უჭირდებოდა. აფიცრები, ვისაც სიარული უჭირდა, სამს დიდ ეტლში ისხდნენ. ყოველ რაზმს იაპონელი სალდათები მისდევდნენ გატენილ თოფებით, წინ რუსის აფიცრები მიუძღვოდნენ. რკინის გზის სადგურთან იაპონელები მიეგებნენ რუსებს და გატაცებით დაუწყეს ცქერა. რუსის აფიცრებს, ეტყობა არ მოეწონათ ესა, მაგრამ ხმა არ ამოიღეს, რადგან მალე დარწმუნდნენ, რომ იაპონელები იმათ სალდათებს კარგად ექცეოდნენ და თამბაქოსა, პურსა და ლუდს სთავაზობდნენ. იაპონელი სალდათები ყოველ რუსის აფიცერს სამხედრო სალამს აძლევდნენ. ვაგზალს ახლო რუსები შედგნენ და ცეცხლი დაანთეს, იაპონელებიც ჰშველოდნენ ცეცხლის გაჩენას. გენ. სტესელმა წინ და წინ მოითხოვა, რომ რუსის ხმელეთის ჯარი, თუ მეზღვაურები თავისუფლად გასულიყვნენ პორტ არტურიდან, მაგრამ ეს მოთხოვნილება იაპონელებმა გადაჭრით უარ-ჰყვეს,.. (ბ. ვ,).

—

„რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი იუწყება ჩიფუდან: ხელით სასროლ ყუმბარების ხმარება ბრძოლის დროს პირველად იაპონელებმა შემოიღეს და მერე რუსებმაც გადაიღეს იმათ განაია.

«რუს»-ი სწერს: «რამდენიმე კვირა გავიდა პორტ არტურის დაცემის შედეგ და აქამდე არავითარი ოფიციალური ცნობა არ გამოუცხადებია რუსეთის მთავრობას არც დამორჩილების პირობაზე, არც იმაზე, თუ რა დავლა აიღეს იაპონელებმა; ისიც-კი არაა ჯერ გამოცხადებული, თუ ვინ დარჩა ცოცხალი და ვინ მოკვდა. ეხლა რაღა დასამალია პორტ არტურის ამბები? მაშ როდის გამოაცხადებენ პორტ არტურზე სარწმუნო ოფიცილურ ცნობებს»?

—

დღესასწაული ტოკიოში. «დეილი ქრონიკლ»-ი იუწყება: იაპონელები ტოკიოში მთელ ერთ კვირას დღესასწაულობდნენ პორტ არტურის აღებას; დღესასწაული პარკში სეირნობითა და შუშხუნებით დასრულდა. ქალაქში სრული კვირა პროცესიები დადიოდნენ; საღამოობით ილიუმინაცია იმართებოდა. მთელი ქალაქი ბაირაღებითა და ფერადი ფარნებით იყო მორთული. (ნ.).

—

ლაპარაკი ზავზე. პორტ-არტურის აღების შემდეგ უფრო ბეჯითად დაიწყეს ზავზე ლაპარაკი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი იუწყება: იაპონიის ოფიციალურ წრეებთან დაახლოვებულმა პირმა გამოგვიცხადა: ჩვენც იმას გეტყვით, რაც ჩვენმა პარლამენტმა სთქვა: იაპონიას მტკიცედა აქვს გადაწყვეტილი, იარაღი არ დაჰყაროს, სანამ თავის საწადელს არ შეისრულებს. იმედი გვაქვს, რომ ჩინეთი არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს ომში. იაპონია, რაც კი შეეძლო, ეცადა, რომ ჩინეთი ომში არ გარეულიყო. იაპონია ასე იმიტომ იქცევა, რომ 1, ომის ასპარეზი შეზღუდოს და ნეიტრალურ სახელმწიფოების ვაჭრობა არ შეაფერხოს და 2, შიდა ჩინეთში არეულობა და უცხოელების წინააღმდეგ აჯანყება არ მოხდეს (ნ. დ.).

ახალი ამბავი

ბენეფისი ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა. მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 13 იანვარს, ჩვენის ნიჭიერ მსახიობ ქალის ნატ. მ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნება ჩვენთვის ჯერედ უცნობი ორი პიესა: „ცოლი—უღლის მწეველი", დრ. 5 მოქმედ., გადმოკეთებული ა. ყაზბეგის-მიერ, და ახლად დაწერილი სცენები ერთ მოქმედებად კ. დოდაშვილისა „ჩვენი ნაცნობები". წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ამბობენ, ქართველ ქალთა გუნდი ძვირფასს საჩუქარს უმზადებს საყვარელს მსახიობ ქალსაო.

⁂ **პეტერბურგის მუშათა გაფიცვის შედეგი.** გაზ. «ნოვ. ობოზრ.»-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ 11 იანვრის თარიღით: «მეოთხე დღეა პეტერბურგი უგაზეთოდაა; გამოდის მხოლოდ «პრავიტელსტვენნი ვესტნიკი» და ისიც ნახევარ ფურცელი, გუშინ ელექტრონი ჩაჰქრა; ნავთი აბაზად იყიდება ერთი გირვანქა".

როგორც დღევანდელ დეპეშიდგანა სჩანს, მუშათა გაფიცვამ იფეთქა, პეტერბურგსა და მოსკოვს გარდა, ვილნოსა და მიტავაშიაც.

⁂ **მუშათა გაფიცვა ფოთში.** ფოთიდან „ცნ. ფურც."-ს ატყობინებენ: 3 იანვრიდან რკინის გზის ლიანდაგზე დღიურმა მუშებმა უარი სთქვეს მუშაობაზე და დღიურად თხოულობენ მანეთს. ახლა რკინის გზის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ამ მუშების ნაცვლად ოსმალები დაიბარონ.

⁂ **მკვლელობა.** ერევნიდგან გვატყობინებენ, რომ 8 იანვარს, საღამოს მეცხრე საათზედ, თავის სახლის ახლო მოჰკლეს ყველასგან პატივსაცემი ერევნის სავაჟო გიმნაზიის მათემატიკის მასწავლებელი ალექსი ხრაპკო. ვერც მკვლელნი აღმოუჩენიათ და არც არავინ იცის მიზეზი, რადგანაც განსვენებულისაგან არავის, არც ნაცნობსა და არც უცნობს, არავითარი წყენა არ ახსოვთ. მეტად მშვიდის ხასიათის ადამიანი, შეგირდების მოყვარული და მფარველი იყო. მთელი ქალაქი შეძრწუნებულია ამ მკვლელობით. განსვენებულს დარჩა ცოლი და წვრილი შვილები.

⁂ **სადგურ ბალაჯარიდგან** გვატყობინებენ. 11 იანვარს, ღამის 1 საათსა და 50 წუთზე, როდესაც სახალხო მატარებელი № 6 წავიდა სადგურ კიშლასკენ, საშინელი ქარ-ბუქი ამოვარდა და მატარებელი გააჩერა მე-797 ვერსზე. ეს მატარებელი შუადღის ოთხის ნახევრამდე იმ ქარ-ბუქში იდგა. მგზავრები დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ უსაჭმელობითა და სიცივით თუმცა ამ მატარებელს ორი ორთქლ-მავალი ება, მაგრამ ორივეს წყალი შემოაკლდა და გაცივდა. ამ მატარებლის დასახმარებლად ბაქოდან გამოგზავნეს მაშველი მატარებელი, რომლითაც მუშები და უფროსები მოდიოდნენ, მაგრამ ეს მატარებელი სადღაც ქარ-ბუქმა დანამქრა და არა იცოდნენ რა იმისი მხოლოდ 11 იანვ., ნაშუადღ. 4 საათ. მივიდა მატარებელი კიშლაში. რომ 11 იანვარს მგზავრები გზაში არ დარჩენილიყვნენ, ათას მუშას მოუყარეს თავი, დატვირთეს თხილამურებით, რომ როგორმე შეშა და საჭმელი ჩაეტანათ. მიმოსვლა მატარებლებისა შეჩერებულია. რკინის გზა თავის ხარჯით ჰკვებავს მგზავრებს ბალაჯარას და აჯიკაბულს. პირველ და მეორე კლასის მგზავრებს ეძლევათ 1 მან. 50 კაპ. დღეში, მესამე კლასის მგზავრებს კი 75 კაპ. რკინის გზის უფროსმა შეატყობინა ნაწილების ინჟინრებს, ეცადნენ, რომ მგზავრები უსათუოდ ბალაჯარს, ან ბაქოს ჩაიყვანონ".

საქართველო

ს. ნინოწმინდა.

(ტფილისის მაზრა).

ს. ნინოწმინდა გათქმულია თავისის ავაზაკებითა და ქურდებით. ამ ერთის წლის წინად სოფლის განაჩენით გაასახლეს რუსეთში სამი კაცი, რომლებსაც დააბრალეს ყველა ონავრობა. ორი კაცი კი მართლა გაგზავნეს, მაგრამ ერთი გზაში გაექცათ და დღესაც ნინოწმიდის არემარეში დადის და ისევ ღუპავს სოფელს. ამით მაინც ვერ მოსპეს ქურდობა და ავაზაკობა: ისე დღე არ გავა, რომ დუქნის კარზედ არ ლაპარაკობდნენ: წუხელის ამა და ამ კაცის სახლი დაღუპესო; ყოველ-დღე ახალი ამბავი გვესმის. ვინღაა ომის ამბავის მსმენელი, ყველა შინაურს ამბავს უგდებს ყურსა. ამას წინეთ ერთს კაცს მოჰპარეს სამი უღელი ხარი, მეორეს—ორი უღელი, მესამეს —ცხენი, მეოთხეს—თივა დაუწვეს, მეხუთეს ბატები და ინდოურები დაჰპარეს, მეექვსეს—ქათმები და სხ..

ბატების პატრონის მეტმა ვერავინ დაიჭირა ქურდები. იმან დილითვე შეატყობინა მამასახლისს—ქურდები დავიჭირეო. მამასახლისმა ბევრი ცემი! შემდეგ წარუდგინა ბოქაულს ხუთივე ქურდი. იმავე ღამეს მამასახლისს მოჰპარეს ცხენი. ბოქაულმა მალე გამოუშვა. მამასახლისმა კი ხუთ-ხუთი მანეთი გადაახდევინა ხუთი მანეთი ბეტების პატრონს მისცა და დანარჩენი თვითონ ჩაიდო—ესეც ჩემი ცხენის ფასიო. 16 ქრისტიშობის თვეს ღამე დიდი ქარიშხალი იყო. ქურდებსაც ეს უნდოდათ: იდროვეს და ერთ ღამეს ხუთი-ექვსი სახლი და ერთი ბეღელი გაჩხრიკეს. ერთი სახლიდან წაიღეს ყველი, არაყი, ტანთსაცმელი, ხანჯალი, მატყლი და სხ. მეორეს ხარები გაურეკეს, მესამეს ღვინო ამოუღეს, მეოთხეს თივა დაუწვეს, მეხუთესაც თივა დაუწვეს. მეორე დღეს ყველამ გაიგო ეს ამბავი, მაგრამ სად არიან ქურდები? 17 დილით კიდევ ახალი ამბავი გავიგეთ: ქურდებს ორი ხარი გაუყვანიათ გომიდგანაო.

ყველა იმას ლაპარაკობს, რომ ქურდები დუქანში ბუდობენო, რადგან დუქანი გათენებამდის ღიაა და «ჰარალეს» გაიძახიან გათენებამდისაო რამდენჯერ აღუკრძალა, მღვდელმაცა და მასწავლებელმაც, რომ დუქანი თავის დროზე უნდა დაიკეტოსო, მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი? მამასახლისი არის ყველა კამპანიის თამადა და ვის აღუკრძალავს? კვირა უქმეებით ხომ დილიდგან საღამომდის ღიაა. ყველა მამასახლისს უყურებს ის იქ ქეიფობს და მეორეებიც ბა[illegible] აძლევენ.

ყველა ქურდობა-ავაზაკობას იმ გაქცეულ კაცს აბრალებენ, მაგრამ თუ იმას ამხანაგები არა ჰყავდეს, ის ვერ ჩაიდენს მარტო მაგდენ საქმეს, ისევ სოფლიდგან უნდა იყვეს «შაიკა» ქურდებისა შემდგარი და იმისი დახმარებით მოქმედებენ და ჰღუპავენ სოფელს.

ეს სულ სოფლის მოხელეების საქმეა, რადგან ისინი არ აყენებენ სოფელში დარაჯებს, მეორეც, როცა ქურდებს დაიჭერენ. არ ანადგურებენ ისე, როგორც კახეთში შემოუღიათ თვით გასამართლება.

დროა ყურადღება მიექცეს ამისთანა უსამართლობას ვისგანაც ჯერ არს.

ბ. მესხელი.

† სპირიდონ გიორგის-ძე სიმონოვიჩი.

ერთი შესანიშნავი მოღვაწე კიდევ მოაკლდა ჩვენს ქვეყანას, კავკასიას: 10 ამ თვისას, დილის 12 საათზედ, ხანგრძლივის და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ცნობილი მთელი ევროპის სწავლულთა შორის ექიმი გეოლოგიისა და პალეონტოლოგიისა სპირიდონ გიორგის ძე სიმონოვიჩი.

განსვენებული დაიბადა თბილისში 12 ქრისტ. 1847 წ. იგი იყო შვილის შვილი განთქმულ კავკასიაში, მეტადრე იმერეთში, გენერალ სიმონოვიჩისა. დედა მისი ქართველი ბრძანდებოდა კოლუბნიანთ ქალი. გვარით თუმცა უცხო ტომისა იყო განსვენებული, მაგრამ გულით ნამდვილი ქართველი მშვენიერი ქართული ენის მცოდნე იყო და გაგიჟებით უყვარდა ჩვენი პაწია საქართველო... პირველი სწავლა მიიღო აქაურ, აწ პირველ კლასიკურ გიმნაზიაში. 1865 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში—ფიზიკო - მატემატიკურ - ფაკულტეტზედ. 1870 წ. მიატოვა უნივერსიტეტი და წავიდა გერმანიაში, იქიდან გადვიდა შვეიცარიაში. ისმენდა ლექციებს საუკეთესო პროფესორებისას: მაგალითად, როგორც ბიშოფისას; მოორისას და სხვებისას; დაჰყო ბონის, ბერლინის და ციურიხის უნივერსიტეტშები: 1871 წ. ციურიხის უნივერსიტეტში წარადგინა და დაიცვა დისსერტაცია (Beitrage zur keuntniss d. Brogozoen der Essener Irün sandes) და ღირს იქმნა დოქტორ გეოლოგიის და პალეონტოლოგიის დიპლომის მიღებისამ 1872 წელს დაბრუნდა თავის სამშობლოში და შევიდა სამსახურში «გორნოე უპრავლენიაში», სადაც დაჰყო 1903 წლამდინ. მთელი თავისი სამსახური მოანდომა ჩვენი ქვეყნის გეოლოგიურის მხრივ შესწავლასა და კარგათაც ჰქონდა შესწავლილი! გეოლოგიური მისი შრომანი ცნობილნი არიან როგორც რუსეთში, ისე ევროპაში.—

სპირიდონ სიმონოვიჩი იყო ფრიად უწყინარი, დაუზარებელი, უანგარო, ფრიად სინიდისიანი ადამიანი. იმას რო ერთი იოტის ოდენა ანგარება ჰქონოდა, იგი თავის ცოლ-შვილს იმ გაჭირვებაში და სიღარიბეში არ დაუტევებდა, როგორშიაც იმყოფებიან დღეს იგინი!..

მიწვეული სხვა და სხვა პირთაგან, როგორც გეოლოგი, აღმოსაჩენად სხვა და სხვა მადნებისა, არამც თუ დაკმაყოფილებულიყო ხოლმე აღთქმულ ფასით, ხოლმე არამედ ხშირად თავის ფულს ხარჯამდა იმ ადგილების გასაშინჯავად—წასვლა მოსვლისთვის!.. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, უანგარო, დიდ-პატიოსანო სპირიდონ!.. მისი გეოლოგიური შრომანი დაწვრილებით აღნიშნულ არიან ამ სათაურით დაბეჭდილ წიგნში: «Матеріалы для исторіи научной и прикладной дѣятельности въ Россіи по зоологіи и соприкассающимся съ нею отраслемъ знанія» т. III. Москва, 1891 г.

ნ.

ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკი.

VI. კრება.

დადგა 19 დეკემბერიც; ხალხის ლოდინს მოეღო ბოლო. საღამოს 7 საათზედ 400-დე წევრი მოაწყდა ბანკის დარბაზს. გაისმა ძველებური კიჟინა და ღრიალი. კუთხეში ცარიელ კასსასთან მიყუდულა ბანკის გამგეობა, თავმჯდომარე ორივე დირექტორით და გაგონებს დამნაშავეთ სამსჯავროს წინაშე. მათი სახის მეტყველება იწვევს რაღაც სიბრალულს და გეუბნევა თითქო: დამნაშავე ვართ, მხოლოდ გვაპატიეთ; ნუ ხართ სასტიკი ცოდვილ ადამიანის მიმართ. მაგრამ არ იცის შებრალება გააფთრებულმა ბრბომ. იმ სამს მოხუცში, მხოლოდ ერთს უკავია თავი უფრო თამამათ, მის კლასიკურ სახეს აშვენებს პატრიარქის თეთრი წვერი. მისი სათვალედან მომზერი თვალები, ხან მშვიდი და ხან მრისხვანე, თითქო ეუბნევა ყველას; შეიძლება სხვას ედოს რაიმე ბრალი, მაგრამ მე... უმანკო ვარ უმანკო... მე გაუგონე სხვებს, მე შევიქენ იარაღი. მე პატიოსანს მეძახდით, პატიოსანს მეძახდა მთელი ქვეყანა, ნუ თუ ახლა შეგივიდათ ეჭვი ჩემს ზნეობაზედ?!... მაგრამ არ ესმის ულმობელ ხალხს ეს უენო მხილება. იგი ქცეულა ერთ აზრათ და ერთ ვნებათ. ეს ოთხას თავა ვეშაპი ოთხასის ხმით ღრიალებს მწარეთ:—„შორს, ბანკის დამღუპველნო! შორს, შემჭმელნო და მატყუარავ! გვეყო ამდენი სიცრუე და თვალის ახვევა! ნუ შხამავთ ჰაერს! დაიკარგეთ აქედან! დაიკარგეთ!...

ნეტა სად არიან ამ დროს სხვა გმირები? რათ არ უშვენებენ მხარს თავიანთ მეგობრებს დამნაშავის მერხზედ? სად ბრძანდება წითელი გმირი ქუთაისის კაპიოსტრო, ეს მთავარი მიზეზი ბანკის დაღუპვისა? სად ბრძანდება მისი მარჯვენა, ქებული პეტრე, ეს ბანკის კასსის მთავარი ვირთხა? სად ბრძანდება პოლუქს და კასტორი, ივ. ი. კოტე და იაგორი, წითელი გმირის ერთგული მეგობარნი სად?

ბრძანდება «საიუზის» სახელგანთქმულ
წევრები? რათ არ ვმზერთ ყველას ერთ
ხალხის სამჯავროს წინაშე?

— კრება!.. კრება!.. გახსენით კრება
დროა!... ღრიალებს ხალხი. საბჭოს თა
მჯდომარე მიდის მაგიდასთან და ხსნ
კრებას.

— აირჩიეთ კრების თავმჯდომარე! ვ
გსურთ? ეკითხება იგი წევრებს.

— კვირკელია... ჯაფარიძე... კვირკე
ლია... დავით კვირკელია... ღრიალებ
ხალხი.

ბ-ნი დ. კვირკელია ჯდება თავმჯდო
მარის სავარძელში და იწვევს მდივნა
ბ. ი. ჯაფარიძეს. გაისმა ზარის წკრიალ

პირველი და უუმწვავესი კითხვაა: და
ჩეს თუ არა ძველი გამგეობა, აირჩეს თ
არა ახალი.

— ახალი გამგეობა, ახალი... არ გვი
და ძველები!.. არ გვინდა... კმარა. ეყო
რაც გვჭამეს და გვატყუეს! ახალი გ
გეობა! ახალი... ღრიალებს ხალხი ერ
ხმათ.

გამგეობის თავმჯდომარე თ-დი პ. თ
მანოვი, მიდის მაგიდასთან, იღებს ქ
ღალდს და იწყებს კითხვას მძიმე
მღელვარე ხმით.

— არ გვინდა შენი კითხვა!.. არ გვი
და!.. ძირს!.. ძირს, მატყუარავ!.. გაგ
შორდი... ღრიალებს გააფთრებული ხალ
ხი. ბრბოს აგზნებულ ვნებას ვერ აცხრობ
ვერც თავმჯდომარის ზარი და ვერც შ
გნებულ პირთა სამართლიანი რჩევა.

—მოვუსმინოთ, ბატონებო! მოვუსმინო
გონს მოდით! ნუ იზამთ მაგას! სირცხვილი
თვით კაცის მკვლელს, თვით უდიდ
პოლიტიკურ დამნაშავეს აქვს სიტყვ
უფლება ეს კი...

— არ გვინდა,არა!.. არ გვინდა მაგ
კითხვა, დაიკარგოს აქედან ეზუიტი! გ
გვშორდეს! გაგვშორდეს! ღრიალებს ერთ
ხმათ უფრო და უფრო გააფთრებულ
ხალხი, და ამ მღელვარე ბრბოში ყველ
ზედ უფრო მძლავრათ, ვით ერიქონ
საყვირი, გაისმის მღლალის და ქერა დ
მაგოგის ღრიალა ხმა. გამწარებულ ხალხ
დავიწყებია იმ წუთას ყველაფერი.
ქცეულა ვნებათ.

— იძულებული იყო შეეწყვიტა კით
ხვა საბრალო მოხუცს. ის გაიპარა თხ
ნელასავით ჩუმათ და ამოეფარა უკ
თავის მეგობრებს. რა იყო ნეტა მის ქ
ღალდში? როგორც ვცანით შემდეგ, იგ
მოგვითხრობდა თავის საზოგადო მოღვ
წეობის ისტორიას, თავის «ერთგულ
სამსახურს ხალხის და საზოგადოების მ
მართ. დაბოლოს კი ათავებდა ამ რიგა
«ვინაიდან ეს სურს ერთ ჯგუფს, მე ვ
ნებებ თავს თქვენ მიერ ბოძებულ თანა
მდებობასო».

— ხო გახსოვს. სიმონ, სციპიონ
აფრიკელის სიტყვა რომის სენატის წინ
შე, როცა აბრალებდენ მას ხაზინის გ
ცარცვას: «დღეს ის დღეა როცა გად
ვარჩინე რომი მძვინვარე ჰანიბალისაგა
წავიდეთ კაპიტოლში და მადლი შევსწ
როთ ღმერთებსო". ამ სიტყვით აღტაც
ბული სენატორები გაჰყვნენ უკან ეროვ
ნულ გმირს. შეიძლება ბ-ნი თუმანოვი
მიღწეოდა მიზანს, რომ გრძელი ქაღალ

ფელეტონი

შუა ზამთარში, მკაცრ სიცივეში,
დადგა ორი დღე როგორღაც თბილი;
გამოცოცხლებულს გულის სიღრმეში
ჩვენ სასოება აღვვეძრა ტკბილი.
შორიდან სხივი მზის დავინახეთ,
მან გაუღიმა ჩვენს გაყინულს სულს
და აღტაცებით წამოვიძახეთ:
«ვაშა მომავალს, ტურფა გაზაფხულს!»
გალომებულნი და აღგზნებულნი
სიხარულითა ცას ვეწეოდით!
ომში არ მყოფნი გამარჯვებულნი
ლეკურს ვუვლიდით, ვბუქნავდით, ვხტოდით..
ხელ-გაუნძრევლად და უბრძოლველად
მიუახლოვდით, გვეგონა, მიზანს;
ვით ვეზუვიის მთა, ცეცხლს ვაფრქვევდით,
ბოლო არ ჰქონდა სიტყვათ ჩირაღდანს..
და ამ დროს უცბად სასტიკი ქარი
ეცა ქვეყანას პირ დაღრენილი,
და ისევ ყინვა, ისევ ზამთარი
მან მოიტანა თან დაღვრემილი.
და ისევ შიშსა, კვნესა-გოდებას
მივეცით თავი ფერმიხდილებმა,
შეჩვეულებმა მხოლოდ მონების,
მონებისავე მხდალმა შვილებმა!

კ. მაყაშ—ღი.

პერსი ბიში შელლი.

(დასასრული *)

შელლის ავადმყოფობამ უმატა ინგლისში. საჭირო იყო საზღვარ-გარედ წასვლა. ამასთანავე ეშინოდა ინგლისში დარჩენისაც, რადგან შესაძლებელი იყო პატარა ვაჟიც წაერთმიათ, მერისგან ნაყოლი. ამ ორის მიზეზის გამო შელლი ინგლისიდგან წავიდა.

საზოგადოებამ მოხსნა პირი და ყოველ-ნაირ ჭორებს ავრცელებდა მაზე. ლორდი-კანცლერი ელდონი საქვეყნოდ აძაგებდა, ჩირქს სცხებდა და ამბობდა: შელლის არ ესმის სულ უბრალო მოვალეობა საზოგადოების წინაშეო.

ნამდვილად, შელლის ყველაზე კარგად ესმოდა ეს მოვალეობა და საზღვარ-გარედ ჰქმნიდა ამ დროს ისეთ შესანიშნავ ნაწარმოებთ, რომელმაც უკვდავ მწერლის სახელით შემოსა გენიოსი პოეტი.

ვენეციაში ხელ-მეორედ შეხვდა ბაირონს. ამ შეხვედრამ ძალიან გაახარა შელლი და დასწერა პოემა: «დჟულიანა და მადდალო». 1818 წლიდან 1820 წ. მისი სიცოცხლის ხანა ერთობ ნაყოფიერი იყო. მისი პოეზია იტალიის ტურფა ბუნების ქვეშ სოცრად გაიზარდა, გაიფურჩქნა და ზედი-ზედ რვა დიდი პოემა დასწერა. ვენეციას თავი მიანება და რომისა და ნეაპოლის სანახავად წავიდა. გზაზე მოუკვდა ქალიშვილი, რომში კი ვაჟი.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ დიდი იქმნებოდა ამის გამო მწუხარება მგზნებარე პოეტისა.

1821 წლიდგან პოეტი იტალიის ქალ. პიზაში დაბინავდა.

თუ რამდენად ეჯავრებოდათ შელლი თანამემამულეებს, სჩანს შემდეგიდან: პიზაში ყოფნის დროს შელლი ფოსტაში მივიდა და იკითხა: შელლი სახელზე წერილი ხომ არ არისო. შემთხვევით ფოსტაში ერთი ინგლისელი აფიცერი იყო. მან როგორცვე გაიგონა შელლის სახელი, მივარდა გაჯავრებით პოეტს. «როგორ? შენა ხარ დაწყევლილი ათეისტი შელლი», უთხრა გაბრაზებულმა აფიცერმა და ისე ძლიერად ჩაჰკრა მუშტი გულში, რომ შელლი უგონოდ დაეცა ძირს.

როცა მოასულიერეს, შელლიმ ბევრი სძებნა აფიცერი დუელში გასაწვევად, მაგრამ ვერ იპოვა და ვერც გაიგო ვინ იყო.

შელლის ისე ძალიან უყვარდა ზღვა, იქ ცურაობა, რომ საკუთარი ნავი შეიძინა და ხშირად მოგზაურობდა ზღვაზე.

1822 წელს 16 აგვისტოს, ზღვაზე მოგზაურობის დროს, ლივორნოსა და ლერიჩს შუა ქარიშხალი ამოუვარდა და ნავიანად დაიღუპა. ამ რიგად პოეტი იმსხვერპლა ზღვამ, რომელიც ძალიან უყვარდა.

ორის კვირის შემდეგ შელლის გვამი იპოვეს. რადგან ამ დროს ზღვის ჭირი მძვინვარებდა, იმ დროისთვის გამოცემულ კანონების ძალით, უნდა დამწვარიყო ყოველივე, რასაც წყალი გამორიყავდა. ბაირონმა ისარგებლა ამით და დასწვა შელლის გვამი კერპ-თაყვანის-მცემელთა ჩვეულების თანახმად, რაც სავსებით შეეფერებოდა განსვენებულის რწმენას.

როგორც ძველ საბერძნეთში, ქვაბზე დაჰყარეს საკმელი და მარილი, ცეცხლი მისცეს გვამს და ნელ-ნელა ასხავდნენ ღვინოსა და ზეთს.

მშვენიერი დღე იყო... დიდებული სანახაობა. ზღვა მშვიდი და წმინდა იყო, ვით სარკე. ერთი პატარა ფრინველი თავს დასტრიალებდა ქვაბს და ვერას გზით ვერ გააფრთხეს. ოქროს ფერი ალი მაღლა-ადიოდა. როდესაც გვამი დაიწვა, ყველამ გაკვირვებით შეამჩნია, რომ გული არ იყო დამწვარი. შელლის მეგობარმა ტრელაუნმა გული გამოიტაცა ც
ცხლიდგან. ამასთანავე ხელიც დაიწვა.

მისი ფერფლი დაკრძალულ იქმნა პრო
ტესტანტთა სასაფლაოზე რომში, სადა
ყოფნა მეტად უყვარდა შელლის.

განუზომელი იყო მწუხარება შელლ
მეუღლისა, რომელიც კინაღამ შეიშალ
ჭკუაზე ამ ამბის გამო. ქმრის სამარ
დაადგა პატარა ძეგლი და წააწერინ
«პერსი ბიში შელლი». ცოტა ქვემო
ამოაჭრევინა: «გულთა გული»! უკანასკნ
ლი სიტყვები, მართლაც, მშვენიერი რ
არის, რომელიც სინამდვილით ახასიათ
დიდებულ პოეტს.

შელლის სიკვდილის შემდეგ კიდ
დიდხანს იცოცხლა მერიმ და ბოლომდ
შეინარჩუნა დიდი პატივის-ცემა პოეტ
სახელისა. მისი ნაწერები წიგნადაც გ
მოსცა და შიგ ჩაურთო მრავალი შენ
შენანი, რომელიც მეტად გამოადგა ბიო
გრაფთ ამ პოეტის ბიოგრაფიის შესადგ
ნად.

შელლი ოც-და ათი წლისა არც
იყო, როცა მოკვდა.

⁂

მიწას მიაბარეს თუ არა გვამი შე
ლისა, პოეტი დავიწყებულ იქმნა რ
დენისამე ათის წლით. მისი ნაწერებ

---

*) იხ. «ივერია», № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ნაცვლათ მიემართა ხალხისთვის მოკლე და მწვავე სიტყვითო», წამოიპუტუნა ირონიული ღიმილით ჩემმა მეზობელმა და გავიდა გარეთ.

პირადათ ჩემზედ და ბევრს სხვაზედაც თ-დ თუმანიშვილის საქციელმა და თავის ნებით სამსახურიდან გადადგომამ მოახდინა მეტად კარგი შთაბეჭდილება. არ იქნებოდა ცუდი, რომ წაებაწათ მისთვის ორთავე დირექტორს და არ გაელანძღათ თავი.

ამ დროს გაიღო ჩუმათ უკანა კარი და შემოვიდა თავის დამქაშ-ვეზირებით წითელი გმირი. იგი წაჩოჩდა წინ, აეტუზა მეგობრებს და დაუწყო პენსნით მზერა ხალხს ისე დინჯათ და ალხეინათ, თითქო ვიღაც ევროპიელი. მის თეთრათ დათოვილ წითელ სახეზედ იხატოდა ურცხობა და თავხედობა. ის თითქო არ გრძნობდა, რომ იყო მთავარი მიზეზი, მთავარი დამნაშავე ამ საშინელ დრამისა. მისი დამქაშ-ვეზირები კი: ტარიელ მკლავაძე, გუბელიძე ფისტოფელი და ზემოური მელა გადნენ ხალხში.

— ბ-ნო თავმჯდომარე, გთხოვთ სიტყვა მათქმევინოთ! წამოდგა წინ თეთრ წვერა სათვალებიანი ბანკის დირექტორი და დაიწყო ლაპარაკი.

— არ გვინდა მაგის სიტყვა! არა!... გავიდეს აქედან!... დაიკარგოს!... ღრიალდა ბრბო.

— თქვენ თუ იყვირებთ და არ მაცლით, მე უარესათ ვიყვირებ! არ ცხრებოდა შეუპოვარი მოხუცი და შეყურებდა ხალხს გაჭარხალებულ სახით და მრისხანე თვალებით.

— არ გვინდა! ძირს! გაჩუმდი! დაგვეკარგე!... ძირს!...ძირს...გრგვინავდა უფრო და უფრო აგზნებული ხალხი.

ახლა ითხოვა სიტყვა მეორე დირექტორმა. მაგრამ მასაც ის ბედი ეწია, რაც პირველს ამას სულ დაუმიწეს პირი.

— კენჭი, კენჭი ვუყაროთ მაგათ! გავხუხოთ! გავაშავოთ! ვირზედ შევსვათ! ვუპანჩუროთ, თუ ნებით არ გადიან!... ღრიალებს ხალხი.

შეიქნა ჩოჩქოლი, ყვირილი, კიჟინა... დადგეს ორი ყუთი, კენჭი უყარეს ორს ძველ დირექტორს. ამათ რიხით განაცხადეს თანხმობა და ამ რიხმა შეაფიქრა ბევრი. აირჩიეს ორი სისენტი. შეიქნა გამოწვევა და კენჭის ჩხრიალი. ატოკდენ გულნი... ხმა დადიოდა, რომ ძველი გამგეობა მართავს აგიტაციასაო, დაძრწიან მათი აგენტებიო, 120 ვექილობა აქვთ ხელშიო, მთელი ურიები მათიაო და სხ. ეს ხმები ბევრს აფიქრებდა და აშინებდა რადგან ვინ გინდა რომ არ მოხიბლო ჩვენში სუფრით, დაპირებით და მეტადრე ყვითელი ოქროებით! ყოველივე ეს ნათლად დაამტკიცა შავი-ქვის მრეწველთა კრებამ 1900 და 1902 წელს. მაგრამ არის თურმე მომენტი, როცა ვერავითარ დაპირება-ოქროთი ვერ მოისყიდი ხალხს, ეს მომენტი იყო ამ ბანკის კრებაზედ. აქ ვერ გამოდგენ დიდის მოცადინობით თავმოყრილი ვექილობანი, აქ ვერ გაბედეს მოსვლა ძველი გამგეობის მომხრე ურიებმა, თითო-ოროლას გარდა. აქ ყველას სურდა ძველების გამოყრა, ძველების გაშავება. მრისხანე წევრებმა უსაზღვრო სიამოვნებით ჩაყარეს შავში და საშინლად გახუხეს ორივე დირექტორი. ერთმა მიიღო მხოლოდ 42 თეთრი, მეორემ კი 45; შავი კენჭი კი ავიდა 235-მდე. დიდის ტაშით და ვაშა—ალტაცებით მიეგება ხალხი ამ გაშავებას. ყველას თითქო აეცალა გულიდან მძიმე ლოდი, ყველას სახეზედ იხატოდა ალტაცება და უსაზღვრო სიხარული, და ბოლოს კრებამ ერთხმად, უკენჭოდ აარჩია ახალი გამგეობა: თავმჯდომარედ თ-დი ს. ნ. ლორთქიფანიძე, დირექტორებათ—თ-დი ნ. დ. ერისთავი და გ. ს. აკოფოვი და კმაყოფილი ხალხი დაიშალა ხვალისთვის შესაკრებათ.

სიმონ ქვარიანი.

(დასასრული იქნება)

რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიწყნარა შუამდგომლობა კერჩში მცხოვრებ ი. ფ. სუვოროვისა და ნება მისცა სადაც უნდა იცხოვროს რუსეთის იმპერიაში. ამ კაცის თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ სხვა ყოველივე სიავე უმწვნევია. ყოფილა არხანგელსკის გუბერნიაში გაგზავნილი 1877 წლიდან 1883 წლამდე, შემდეგ სამის წლით მჯდარა ოდესის ციხეში. ყოფილა გაგზავნილი აგრედვე ჯერ სახალინზე, შემდეგ ორენბურგში. 1899 წელს კერჩში დასახლებულა, სადაც ახლა სხოვრობს. ამდენს უბედურებასა და ტანჯვაში მხედველობა სრულიად დაუკარგავს. ამ კაცს ამ ჟამად განცვიფრებაში მოჰყავს ყველანი რწმენათა შეურყევლობით: ახლაც ღრმად სწამს, როგორც ჭაბუკობის დროს, უკეთესი მერმისი.

— ვილნოში პოლიციისა და ებრაელმუშებს შეტაკება მოსვლიათ. აურ-ზაურის მიზეზნი, როგორც ბევრჯელ, პოლიცია ყოფილა, რომელიც მისჭრია მუშებს, როდესაც მკვდარს ასაფლავებდნენ. დაჭრილან ორთავე მხრიდან. დაუჭერიათ 10 ებრაელი—ზოგი კაცი, ზოგი ქალი.

— ამას წინად აღძრულ იყო შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას რუს მწერალთა კავშირიო. გაზეთების სიტყვით თავად სვიატოპოლკ-მირსკის ამ გვარ კავშირის წინააღმდეგ არა აქვს რა, მხოლოდ საგნის საბოლოო განხილვა დროებით გადადებულ იქმნა.

— მოსკოვში კრება ჰქონდათ სკოლებისა და საზოგადოდ განათლების მოღვაწეებს. კრებას 700 კაცი დაესწრო. ერთმა ორატორთაგანმა, ბ-მა ვასილიევმა თავის სიტყვაში საყვედურით მიჰმართა სხვა ორატორებს: მონურის კილოთი ლაპარაკობთ და გულ-ახდილადა და პირდაპირ არ ამბობთ იმას, რაც ამ ჟამად ყველას აღელვებსო. თავმჯდომარეს „ყოვლად შემძლებელ“ ზარის წკარუნით გაუჩერებია ორატორი და კრებისთვის უთხოვნია, იმ საგნებზე ილაპარაკეთ, რომელიც კრების პროგრამაში შედისო.

— «ნაში დნი»-ს სიტყვით, ომიანობით გამოწვეულ საჭიროებათა გამო განზრახულია თუთუნზე და სპირტზე სააქციზო გადასახადი გაძლიერებულ იქმნას.

წერილი

რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

«ივერიის» მე-241 ნომერში დაბეჭდილი იყო აწ განსვენებულის, უგანათლებულესის თ-დის ნიკოლოოზ სამეგრელოისაგან ჩემთან მოწერილი წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, მოკლეთ იყო წარმოთქმული განსვენებულის აზრი შესახებ მეგრულის და ქართულის ენისა.

ეხლა გიგზავნით პირს მეორე წერილისას, რომელიც განსვენებულმა თ-დმა ნიკოლოოზ სამეგრელოისამ მისწერა საქართველოს ექსარხოსს პალლადის ამავე საგანზედ და სადაც ვრცლად უხატავს ექსარხოსს ქართულის ენის მნიშვნელობას და მისს ისტორიას სამეგრელოში. განსვენებული თ-დი ეხება აგრედვე იმ მეგრულ ენას, რომელსაც მეგრელები საშინაოთ ხმარობენ. ამ წერილმა, ჩემის აზრით, უნდა დაუდუმოს ენა იმ პირთ, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ქართული ენა გამოდევნილ იქმნას სამეგრელოდგანაო.

ამასთან მე ვალად ვრაცხ ჩემ თავსა მოგახსენოთ შემდეგი: როდესაც ამ საგანზედ განსვენებულ ექსარხოს პალლადის დროს დიდი მითქმა-მოთქმა იყო აღძრული, მაშინ თ-დი ნიკოლოოზ სამეგრელოისა ქალაქში იმყოფებოდა. რადგან ამ საგანს განსვენებული ნიკოლოოზი დიდ მნიშვნელობას აძლევდა, ამისათვის მან პირადად ინახულა ექსარხოსი პალლადი და სთხოვა ხელ-უხლებლად დაეტოვებინათ ქართული ენა სამეგრელოში. შემდეგ განსვენებული დაბრუნდა სამეგრელოში, თავის სოფელ გორდში. როდესაც შეიტყო რომ ექსარხოსმა აასრულა მისი თხოვნა, ძალიან ესიამოვნა და მაშინვე დასწერა ეს წერილი და დამავალა პირადად გადამეცა ექსარხოსისათვის. მეც, რასაკვირველია, ავასრულე მათი მონდობილობა. ექსარხოსიც დიდათ კმაყოფილი დარჩა ამ წერილით და მთხოვა დიდი მადლობა გარდამეცა თ-დ სამეგრელოისათვის.

რადგან ამ ჟამადაც ეს საგანი მეტის მეტად საჭირბოროტოა და დიდ მნიშვნელოვანია, როგორც მთელი სამეგრელოსთვის, ისე ყველასთვის, ვისაც ჩვენ სამშობლოსთვის გული შესტკივა, ამისთვის საჭიროთ დავინახე გამომემჟღავნებინა უკანასკნელი სამეგრელოს მთავრის აზრი ამ საგანზედ, როგორც საისტორიო მასალა.

დავთშები თქვენი პატივის მცემელი
თ-დი გს. მაჩაბელი.

აი წერილიც:

თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ მეუფეო და ყოვლად მოწყალეო მწყემს-მთავარო!

ნება მიბოძეთ, მეუფეო, თქვენდამი გულწრფელ და ღრმა მადლიერების გრძნობით აღსავსესა მოკრძალებით თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას გულითადი და მხურვალე მადლობა მოგახსენოთ იმ ბრძნულის გარდაწყვეტილებისათვის, რომელიც მოჰხდა თქვენის განათლებულის მწყემს-მთავრულის ხელმძღვანელობით იმ საგანზე,—გადაითარგმნოს თუ არა საღმრთო-წერილი და სამღვდელ-მოქმედო წიგნები მეგრულათ და შემოღებულ იქმნას თუ არა წირვა-ლოცვა მეგრულად სამეგრელოშიო.

მთელის თქვენის ძალითა და გავლენით უარჰყავით საჭიროება ერთისაცა და მეორისაცა და მით დაუფასებელი სამსახური გაუწიეთ სარწმუნოების მხრივ მშვიდობას ღვთივ თქვენდა ჩაბარებულს ივერიის სამწყოსას. და აგვაცილეთ უეჭველი გაჩენა მწვალებლობისა ქართველთ მართლ-მადიდებელ ეკლესიაში, რომლის სახელოვანს არსებობას მთელი თხუთმეტი საუკუნე მტკიცეთ ჰფარავდა ღმერთი. რათა ნათლად დაუსურათოთ თქვენს მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობას ყოვლადი მნიშვნელობა. ამ ჩვენთვის გაწეულის სიკეთისა, ყოვლადი სამართლიანობა და სიბრძნე უკვე შეწყნარებულის გარდაწყვეტილებისა, აგრედვე რათა ნათლად დავასურათოთ, რაოდენ საშიში იქმნებოდა მაგ საგნის სხვაფრივ გარდაწყვეტა,—გავკადნიერდები და უპირველეს ყოვლისა მიმოვიხილავ ერთის თვალის გადავლებით სამეგრელოს წარსულსა.

ისტორია მოგვითხრობს, რომ უხსოვარ დროთაგან მეგრელთათვის, ამ ქართველთა ტომის დასავლეთ შტოსათვის, ქართული ენა იყო ენა სარწმუნოებისა, წირვა-ლოცვისა, სკოლისა და ლიტერატურისა. აღმოსავლეთ ქართველებზე სამის საუკუნით ადრე მიიღეს ანდრია პირველ-წოდებულისაგან ქრისტიანობა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში მოციქულთა სწორმა წმიდა ნინომ გაავრცელა, და მას უკან დაიწყეს თაყვანისცემა ქრისტე მაცხოვრისა, ლოცვა და მსახურება ღვთისა მარტოოდენ ქართულად იმიტომ, რომ დაემორჩილნენ საკუთარ სურვილს და ზოგად ქართველობის ინსტიქტის შთაგონებას. სამეგრელოს საეკკლესიო კათედრას არ სმენია არასოდეს, არ სმენია არავითარი სხვა ენა, თვინიერ ქართულისა. არა ერთხელ ყოფილა ისეთი დროცა, ჭყონდიდელთა სამიტროპოლიტო კათედრას სჭერია პირველი ადგილი საეკკლესიო მჭევრ-მეტყველებაში და წარმოუშობავს მთელ საქართველოში განთქმულნი მქადაგებელნი. ქრისტიანობა მეგრელთათვის ისე მტკიცედ შეედუღა ქართულსა, რომ არ იყო, და არც არის შესაძლებელი მათი განცალკევება. ასევე მტკიცეთ შეედუღა და შეეთვისა მეგრული სკოლა ქართულსა. საეკკლესიოსა, და სამონასტრო სკოლებში სწავლების იარაღად მუდამ და ყოველთვის ქართული იყო და ამ სკოლების მოწაფენი ვითარდებოდნენ და წარემატებოდნენ იმავე ქართულის წიგნებითა, რომელსაც ხმარობდნენ სხვაგანაც საქართველოში. მეგრელები თავისავე საკუთარს სურვილს დაემორჩილნენ დასაწყისიდანვე და ყველა სხვა ქართველებთან ერთად ქართული ანბანი საკუთარ ანბანად მიიღეს და სალიტერატურო ენადაც ქართული შემოიღეს, ხოლო თავიანთ სათემო კილოზედ ლაპარაკობენ მარტოოდენ შინაურობაში. ქართულის ლიტერატურით, სასულიეროთი და საეროთი, ისე მოსწონდათ თავი, როგორც საკუთარის საეროვნო საუნჯითა. ქართველთა ღვთის მეტყველებსა და რუსთაველს ისე უყურებდნენ, როგორც საკუთარს საეროვნო გენიოსებს. თავის დღეში აზრად არ მოსვლიათ ცალკე ანბანი შემოეღოთ, განსაკუთრებული სალიტერატურო ენა და ცალკე ლიტერატურა შეექმნათ სწორედ ისე, როგორც ბელორუსები არას დროს არ წაუცდენია ამისთანა სურვილს და არც ცდილან როდისმე მოვშორდეთ ამ მხრივ ველიკოროსებსაო. ასე რომ არა ყოფილიყო, მეგრელებს ადვილად შეეძლოთ ცალკე გასულიყვნენ და სულიერი და ლიტერატურული კავშირი მოესპოთ ქართველებთან; შეეძლოთ იმიტომ, რომ ხშირად სრულიად დამოუკიდებულნი იყვნენ პოლიტიკურად და თავიანთ ბედს თვითვე განაგებდნენ. ის მეგრელნი, რომელნიც განათლებას იღებდნენ, მუდამ კარგნი მცოდნენი იყვნენ ქართულისა, საეკლესიოსი და საეროსი; არა იშვიათად სჯობნიდნენ კიდეც ამ მხრივ ქართველთა ამა თუ იმ წარმომადგენელთ და თავ-გამოდებულნი ილვწოდნენ ქართულ სასულიერო და საერო ლიტერატურის გასამდიდრებლად. ისე რომ საზოგადოდ მეგრელებს ქართველთა თითოეულ ტომზედ ნაკლები გონებრივი თანხა არ შეუძენიათ საქართველოს სალიტერატურო სალაროსათვის. ძველ საქართველოს ბრწყინვალე დროს, დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის დროს, თვით თაოსნობა, თვით ხელმძღვანელობა ქართველობაში სწავლა-განათლების აღყვავებისათვის სამეგრელოში იწყებოდა, რადგან ჭყონდიდლები ამასთანავე, თავიანთ ხარისხის ძალით, იყვნენ საერო განათლების მინისტრებიცა. დასასრულ, იმის დასახასიათებლად, თუ რაოდენად აუცილებელი საჭიროება იყო ქართული ენა მეგრელთა შორის, საკმაოა მოვიხსენიოთ, რომ ყოველი სიგელი სამეგრელოში, მიტროპოლიტებისა, ეპისკოპოსებისა და თვით სამეგრელოს მბრძანებელთა და მთავართა იწერებოდა ქართულად; მთლად საქმის წარმოება, როგორც საადმინისტრაციო, ისე სამოსამართლო, უთუოდ ქართულად იყო. ასე გასინჯეთ, კერძო მიწერ-მოწერაც კი, შინაური პირობის ქაღალდები, სავაჭრო დავთრები გარდა ქართულისა არა ვითარ სხვა ენაზედ არ იწერებოდა. ერთის სიტყვით, მეგრელნი მუდამ ისე უცქეროდნენ ქართულს, როგორც საკუთარს ძირითად დედა ენას, ხოლო მეგრული მიაჩნდათ საჭიროდ მხოლოდ შინაურობაში. მეგრელებს არამც თუ მუდამ უყვარდათ და უყვართ ქართული, არამედ მოწიწებითაც ეკიდებოდნენ და დღესაც ასევე მოწიწებით ეკიდებიან, როგორც სამღრთო ენას, ისეთს ენას. რომელზედაც სამღრთო წერილია დაწერილი. ოცდა ათიოდე წლის წინად, იმათის აზრით, რომელნიც უსამზღვრო და უგუნურის ერთგულობით არიან გატაცებულნი და რომელთაც უყვართ არა-

დაბეჭვდა არავის მოსდიოდა აზრად, მაგრამ გავიდა ხანი და დადგა დრო, როდესაც ღირსეულად იქმნა დაფასებული ის საუნჯე, რომელიც გენიოსმა პოეტმა დაუტოვა კაცობრიობას. მისი ნაწერები გადათარგმნეს თითქმის ყველა ენაზე, სხვათა შორის რუსულადაც. რუსულად მშვენივრად გადათარგმნა შელლის ყველა ნაწარმოები ნიჭიერმა პოეტმა და დაბეჭდა სამ დიდ ტომად.

უმთავრესი მიზეზი იმისი, რომ პოეტი არ დააფასა თანამედროვე საზოგადოებამ, იყო, პირველი ის, რომ შელლი სულ ახალ-გაზრდა მოკვდა, მაშინ, როდესაც მისი ნიჭი სავსებით მწიფდებოდა და კაცობრიობას ჰპირდება შესანიშნავს ნაწარმოებებსა. მეორე მიზეზი იყო ის, რომ შელლიმ 50 წლით გაუსწრო თანამედროვე საზოგადოებას და ფხიზელის ჭკუით დაინახა ყველა იმისი საჭიროება, რაც სხვებმა ძალიან გვიან იგრძნეს. მესამე მიზეზი შელლის დაუფასებლობისა თანამედროვეთა მიერ—იყო ბაირონი, რომლის ყოვლად ძლიერი და საშინელი სიტყვები, მიმართული ირგვლივ გამეფებულ ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ, ღვთის რისხვასავით გაისმოდა მთელს ინგლისში და თავ-ზარსა სცემდა სულმდაბალსა და გარყვნილ წარმომადგენლებს ხალხისას. იმ დროს საჭირო იყო ბაირონისავით კაცი, რომელსაც უნდა მიეპყრო ყოველთა ყურადღება მთელის თავისის ნაკლულევანებითა და ღირსებით. შელლი კი იყო იდეალისტი, ის თავის ქნარს ნაზად, ნარნარად აჟღერებდა და იმიტომაც მისი ჟღერა ჩაიკარგდა ბაირონის მგვრგვინვარე ხმაში.

შელლის პოეზიის დაფასებას სხვა დროისთვის გადავდებ და აქ დავასახელებ მხოლოდ უმთავრესს თვისებებს მისის პოეზიისას.

პირველ ყოვლისა პოეზია შელლისა არის სუფთა, წმინდა, ნარნარი და კეთილ-შობილური. მის ლექსებში ვერსად ვერ ნახავთ ერთს მშრალ სიტყვას, თვითოეული ასოში, თვითოეული ჰანგში ჩაქსოვილია სპეტაკი და ღრმა გრძნობა. მისს ნაწარმოებთა კითხვის დროს ადამიანი გრძნობს ნამდვილს ესტეტიურ სიამოვნებას და, გადაფრენილი ოცნების სამთავროში, სულით მაღლდება და გრძნობანი უსპეტაკდება.

მთელს თავის ლექსებში საშინლად ჰკიცხავს ყოველგვარ უსამართლობას, დესპოტიზმს, ხალხთა სიძულვილს და ჰქადაგობს პრინციპს სამართლიანობისას, საერთო სიყვარულს და სრულს თავისუფლებას. პოეტს ღრმად სწამს, რომ კაცობრიობა ბოროტს გამოიხსნის რესპუბლიკანური დემოკრატიის ძალით და დამყარდება სამეფო მშვიდობისა, თავისუფლებისა, სამართლიანობისა და კაცთა შორის სიყვარულისა.

ყველაზე ძალიან შელლის უყვარს ბუნება. ბუნება მისთვის ცოცხალი არსებაა, რომელიც მისი მეგობარია; ბუნება განხორციელებაა ყოველისავე მშვენიერებისა და სიკეთისა; ასე სწამს შელლის და კიდეც ეტრფის, შეჰხარის და მასთან ერთად იზიარებს ყოველსავე ავსა და კარგსა. შელლის თავ-დავიწყებით უყვარს ქარი, ღრუბლები, უსაზღვრო თავისუფლება და გიჟური ძლიერება ზღვისა და ბუნების ყოველნი ძალნი. იშვიათის სინამდვილითა და ზედ-მიწევნით აქვს აწერილი სხვა და სხვა ყვავილები. ფხიზელის ჭკუითა და დაკვირვებით ყვავილებში იმგვარ თვისებებსა ჰხედავს, რაც ჩვეულებრივ მომაკვდავთ სიზმარშიაც არ მოელანდება.

პირველის შეხედვით, გაუკვირდება ადამიანს, რომ ხალხის ღრმად მოსიყვარულე პოეტმა თავისს შესანიშნავის ლირიკულის ლექსების საგნად აიღო არა ხალხი, არამედ ბუნება მთელის თავისის მოვლენებითა. ამ გარემოებას თვით პოეტი ხსნის ერთ წერილში «სიყვარული». როდესაც ჩვენ ვფიქრობ,—ამბობს შელლი—ან ვგრძნობთ, გვინდა ყველა ეს გადავცეთ სხვებს და მოვიპოვოთ მათი სიმპატია. როდესაც ჩვენს კეთილ შობილურს გულის თქმას მხოლოდ სიძულვილით აძლევენ პასუხს, ჩვენ ობლად ვგრძნობთ თავს: „ამ ობლობაში გვიყვარს ყვავილები, სიმწვანე გაზაფხულისა, წყალი, დედამიწა, ცა, გიჟური მეტყველება ქარისა და ჰარმონიული დუდუნი ზვირთთა და მათ გულ-დასმით ვუგდებთ ყურს, ვით ხმას სასიყვარულო არსებისას, რომელიც მღერის მხოლოდ ჩვენთვის“.

დიახ პოეტი საჭიროებდა ხალხის მიერ სიყვარულს და, რადგას ეს სიმპატია ვერ მოიპოვა, მიმართა ბუნებას. ბევრნი პოეტნი ნაძალადევად ეტრფიან ბუნებას. შელლი კი ბუნებას კალთებში უვარდება, მთელის არსებით მიიწევს მისკენ, რადგან ხალხის მიერ განდევნილია. ბუნებასა და მის შორის არსებობს ერთგვარი კავშირი: ერთმანეთის გულის თქმას იტყობენ და ეპასუხებიან. პოეტი აღტაცებითა და სიყვარულით შეჰხარის ბუნებას, ბუნება კი თავის სიმშვენიერით შელლის უჩვენებს იმ თვისებებს, რომელიც სხვა კაცთ არ უხილავთ.

ერთი ლექსი შელლისა «ტოროლა»-ს ქართული თარგმანით ამ დღეებში უკვე გავაცანი მკითხველთ, შეძლების დაგვარად. ტოროლა ინგლისის პოეტებს ძალიან უყვართ და თითქმის ყოველი მათგანი ოდას უძღვნის ხოლმე, მაგრამ, ბრანდესის სიტყვით, შელლისებრ საუცხოოდ არავის შეუმკია ეს პატარა ჩიტი. შელლის ტოროლა თავისუფალია და დანავარდობს ჰაერში. იგი მოკლებულია იმ ნაკლულევანებათ, რომელიც მიწის შვილთ ამკობს: არავის ემორჩილება, ქედს არავის უხრის. როცა ფრინავს მღერის და როცა როცა მღერის ჰფრინავს. ამ ლექსის კითხვის დროს მკითხველს ესმის მთელი ზვა სპეტაკისა და გამაცოცხლებელის ხმებისა. ეს ლექსი სუფთა, მხიარული და ჭაბუკური სიმღერაა ფრთა შესხმულ თავისუფლებისა და განუსაზღვრელის ბედნიერებისა.

აი ყველა ის, რაც უნდა გვეთქვა ამ დიდებულ პოეტ-ლირიკოსზე, პოეტპანტეისტზე.

რ. ბებიაშვილი.

* * *

მკითხე რეფორმატორობა, გადაითარგმნა მეგრულად ზოგიერთი სამღვდელ-მოქმედო წიგნი, ვითომ იმ ფიქრით, რომ ამ წიგნებს ქართულ საეკლესიო წიგნების მაგიერობა გაეწიათ. მერე რა შედეგი მოჰყვა ამ ცდას? ყველა წოდებანი სამეგრელოისა ერთხმად წინააღუდგნენ ამ უცნაურობას და აიძულეს სასულიერო მთავრობა ხელი აეღო ასეთს რეფორმაზედ. მეგრულად დაწერილი სამღვდელ-მოქმედო წიგნები დარჩა უხმარებელი. ასეთისავე მძულვარებით მოექცნენ მეგრელნი, თავადებიდან დაწყებულნი გლეხ-კაცებამდე, ამგვარსავე ცდას, რომელიც დაწყებულ იქმნა თქვენის მეუფების წინა მოადგილეს დროს. რათა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, რაოდენ ბუნებრივია და ძლიერი ეს მძულვარება, აგრეთვე რაოდენ უცნაურია ასეთის ღონისძიების მიღება, გავითვალისწინოთ, თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ, რომ ვითომ სამღრთო წერილი და სამღვდელ-მოქმედო წიგნები გადაითარგმნა მალოროსიულ, ან ბელორუსიულ საერო ენაზედ და ღვთის მსახურებასაც ასრულებენ ამ ენაზედ. ნუ თუ ასეთი ამბავი საშინელი პროფანაცია არ იქნებოდა ყოველისავე სამღრთოისა მთლად რუსეთის ერისათვის? სწორედ ისე, როგორც ველიკორუსნი, მალოროსნი და ბელორუსნი აღვიარებენ ყველანი ერთად თავიანთ ზოგად სამღრთო ენად საეკლესიო სლავიანურს, სწორედ ამ გვარადვე ქართველთა ყველა ტომნი, მათ შორის მეგრელებიც, მუდამ აღვიარებდნენ და აღიარებენ დღესაც თავის სამღვდელო ენად საეკლესიო—ქართულს, ხოლო საეკლესიო კათედრის ენად—საზოგადოდ ქართულს. ამიტომ ყოველ ცდას, რომელიც საწინააღმდეგო იქნება ამ ათასის წლობით შემუშავებულის აზრისა, ქართველთ ყოველ ტომისაგან შესისხლ-ხორცებულისა, შესაძლოა ყოვლად სამწუხარო შედეგი მოჰყვეს და ისეთი უბედურება დატრიალდეს, რომ საქმეს აღარსაით აღარა ეშველოს-რა. მით უფრო მეტი სახელი და დიდება თქვენ, თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ, რომ ჭეშმარიტის მწყემს-მთავრულის სიდინჯით მოეკიდეთ ასეთს მძიმე საქმეს და ეცადეთ მის ბრძნულად გადაწყვეტას საკეთილოდ ღვთივ თქვენდა მონდობილ სამწყსოსა, რისთვისაც დიდის პატივისცემით ვსწირავ მადლობას თქვენს მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოებას, როგორც კერძოდ ჩემის, ისე ყოველ გულწრფელ მეგრელის მხრივ.

ვანდობ რა თავსა ჩემსა ლოცვათა თქვენთა, გთხოვ ირწმუნოთ, რომ ღრმად პატივის მცემელი და ერთგული ვარ თქვენი.

თქვენის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის და მოწყალე მწყემს-მთავრის უმორჩილესი მონა თ—დი მინგრელსკი.

ბ. რედაქტორო!

ამას წინად „ივერიაში“ მოხსენებული იყო ამბავი ბ. შალიკაშვილის და ივანიძის ბენეფისისს შესახებ. ზოგიერთა მიზეზთა გამო, იძულებული ვარ ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ზემოხსენებული ცნობა თქვენის რედაქციისათვის მე არ გადმომიცია, თუმცა კი ჩვენს ბენეფის სწორედ ასე დაემართა, როგორც თქვენს გაზეთში იყო აღნიშნული.

მსახიობი ი. ივანიძე *)

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

11 იანვარი.

პეტერბურგი. ამ ჟამად გამოდის მხოლოდ «პრავიტელსტვენი ვესტნიკი», ისიც შემოკლებით, და «ვედ. გრადონაჩალნიკისაა ვრცლად.

კოვნა. ქალაქსა და მის მიდამოებში დღეს გაიფიცნენ ხუთი ლითონის ქარხნების მუშები 3 ათასამდე. ცხენის რკინის გზის მოძრაობა შესდგა. ღონისძიებანია მიღებული.

მოსკოვი. გაზის ქარხანა ჯარის მფარველობის ქვეშ მუშაობს. ელექტრონის სადგურიც მუშაობს. ვეიხელტის ელექტრო-მექანიური ქარხნის 400 მუშა გაიფიცა. იმათი მოთხოვნილება იგივეა, რაც პეტერბურგელი მუშებისა. სტამბებმაც მუშაობაზე ხელი აიღეს, იმათ რიცხვშია დიდი სტამბებიც ლევინსონისა და მამონტოვისა. ყველა გაზეთები გამოვა თუ არა, ეს გაფიცულებთან მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული. ქალაქ გარეშე მყოფ ქარხნებთან ყარაული აყენია, ეზოებში დგას ჯარი და ყაზახები. ფაბრიკებს, რომლებიც მუშაობენ, გარეშე ხალხთაგან ჯარის კაცნი იცავენ. ცინდელის დიდმა სამანიფაქტურო ფაბრიკამაც უარი სთქვა მუშაობისა. პროხოროვის ქარხანაშიაც მოძრაობაა. მუშების ბრბონი ქალაქის განაპირებში იარებიან, შუა ქალაქში არ უშვებენ.—მუშაობა დაიწყეს ცინდელთან, მეშჩერინოვთან და ლევანსონის სტამბაში ბახრუშინის ტყავის და მაუდის ქარხანებში მუშაობის დაწყობას აპირობდნენ, მაგრამ ქუჩაში გამოჩდნენ მთვრალი მუშები, ქარხნის პატრონს შეეშინდა, მაშინები არ წაახდინონო და ამიტომ მუშაობაზე ხელი აალებინა. სიმონოვის რაიონში ბარის ქვაბის ქარხანაში, ცენტრალურ ელექტრონის საზოგადოების ქარხანაში, აგრეთვე წვრილ-წვრილ ფაბრიკებშიაც და დანილოვკაზე მყოფ ქარხნებშიაც გაიფიცნენ. სულ 10 ათასამდე კაცმა დაანება თავი მუშაობას.

ჰელსინგფორსი. 11 იანვარი. დილით ოვიდა გენერალ-გუბერნატორი ობოლენსკი. სეიმის კრება დაიწყო.

12 იანვარი.

პეტერბურგი. დიდმა მთავრინამ მარიამ პავლეს ასულმა გადასცა ბაზრობიდან შემოსული ფულიდან ათი ათასი მან. ტოკიოში საფრანგეთის ელჩს, რომ ეს ფული დაურიგოს პორტ არტურის დამცველ ყველა მოხელეებსა.

ლონდონი. 10 აანვარი. პორტ-ლუიდან მოსული დეპეშა უარს ჰყოფს ამბავს, ვითომ ბალტიის ესკადრა მადაგასკარიდან გავიდაო.

ტოკიო. 10 იანვარი. იაპონელებმა შესწირეს პორტ არტურის შესავალის ჩასახერგად 17 გემი; ცხრა ტრანსპორტი და სავაჭრო გემები ჩაღუპეს რუსებმა. 309 რუსის აფიცრები და 17,511 ჯარის კაცი რომელნიც ტყვედ მოჰყვნენ პორტ არტურის აღების დროს იაპონიაში მოვიდნენ.

პარიჟი. შესდგა ახალი სამინისტრო: მინისტრი-პრეზიდენტი და ფინანსთა მინისტრი რუვიე, იუსტიციისა შომიე, გარეშე საქმეთა დელკასე, შინაგან საქმეთა—ეტიენი, სამხედრო—ბერტო, საზღვაო—ტომსონი, საერო განათლებისა—მარტენი, საზოგადო სამუშაოთა—გოტიე, აალიშენთა—კლემანტელი, ვაჭრობისა—დიუბიე და მიწადმოქმედებისა—რიუბო.

ჰელსინგფორსი. „ფინლიანდიის გაზეთში“ გამოცხადებულია, ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად ბრძანა, დაბრუნდნენ ფინლიანდიაში ყველა ფინლიანდიელნი. რომელთაც 20 მარტს 1903 წელს. უმაღლესის ბრძანებით აღკრძალულ ჰქონდათ იქ ყოფნა.

ვილნა. პეტერბურგის მუშათა მოძრაობას აქაც მიჰბაძეს. ბევრს ქარხნებში დაანებეს თავი მუშაობასა. განსაზღვრულად ამას თხოულობენ, წყნარად არიან, წესიერება ჯერ არსად არ დარღვეულა.

ბაქო, ნამქერის გამო მისვლა-მოსვლა პასაჟირის დი საქონლის მატარებლებისა ბაქოსა და აჯიკაბულსა, ბაქოსა და სურახანის შორის შესწყდა,

საღამოს დეპეშები

12 იანვარი.

პეტერბურგი. 12 იანვარი. ოფიციალური. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება უმართებულესის სენატის სახელზედ: „უკანასკნელ დღეების ამბებმა პეტერბურგში გვიჩვენა საჭიროება მივმართოთ განსაკუთრებულს, გარემოებათა შესაფერს საშუალებას სახელმწიფო წესწყობის დასაცველად და საზოგადოებრივის მშვიდობიანობისათვის. ამიტომ ჩვენ სასარგებლოდ დავინახეთ შემოვიღოთ თანამდებობა პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორისა იმავე საფუძველზედ, რომელიც კანონმდებლობაშია ნაჩვენები უმთავრესთა მოხელეთათვის. 1) გენერალ-გუბერნატორს დაემორჩილებიან ქ. პეტერბურგი და პეტერბურგის გუბერნია. 2) სახელმწიფოს წესიერების დაცვისა და საზოგადოებრივი მშვიდობიანობისათვის შესახებ საქმეებში გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებიან ყველა ადგილობრივი სამოქალაქო გამგეობანი ყველა უწყებათა სასწავლებელნი განურჩევლად.

3) შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით გენერალ-გუბერნატორს უფლება აქვს მიმართოს იმ ზომებს, რომელნიც ნაჩვენებნი არიან საცენზურო წესდების 140 მუხლში. 4) სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლების გარეშე გაძლიერებულ დაცვისათვის დებულების რიგზედ, გენერალ-გუბერნატორს ეძლევა უფლება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა განკარგულებისათვის და მშვიდობიანობის დამყარებისათვის საგენერალ-გუბერნატორო საზღვრებში, დააწესებდეს გადახდევინებათა და საქმეთა გადაწყვეტის რიგს აღნიშნულ დადგენილებათა დარღვევისათვის, თანახმად 15 და 16 დებულებისა გაძლიერებულ დაცვაზედ, და ამ დროს გენერალ-გუბერნატორს შეუძლიან ამ საქმეთა გადაწყვეტა მიანდოს თავის ხელ-ქვეითთ პეტერბურგის გუბრენატორს და ქალაქპეტს. 5) გენერალ-გუბერნატორს ეძლევა უფლება სამოქალაქო მოხელეთა დასახმარებლად გამოიწვიოს ხოლმე ჯარები ყოველს შემთხვევაში, როცა საჭიროდ დაინახავს. და თავისით განსაზღვროს ხოლმე როგორც სახმარებელი იარაღის რომელობა, აგრეთვე რაოდენობა მოთხოვნილის ჯარებისა, რომელთაც გამოწვევისათანავე უნდა იმოქმედონ ხოლმე მისის ჩვენებით. 6) საგენერალ-გუბერნატოროს სამზღვრებში გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებიან როგორც პეტერბურგის საგუბერნიო ჟანდარმთა გამგეობა, აგრეთვე ჟანდარმთა პოლიციის სამმართველონი რკინის გზებზედ და ყველა საპოლიციო დაწესებულებანი და თანამდებობის პირნი სარკინისგზო მიმართულებისა. 7) გენერარ გუბერნატორს ემორჩილებიან საპოლიციო საქმეებში ყველა სახაზინო ფაბრიკები, ქარხნები და სახელოსნოები საგენერალ-გუბერნატოროს სამზღვრებში. გენერალ-გუბერნატორს გარდაეცემიან შინაგან საქმეთა მინისტრის ყველა უფლებანი ქალაქის საზოგადოებრივ და საერო გამგეობის მოხელეთ თანამდებობანი დამტკიცებისათვის პეტერბურგისა და გუბერნიის სამზღვრებში. 9) გენერალ-გუბერნატორს შეუძლიან კერძო პირებს აუკრძალოს ცხოვრება სატახტე ქალაქში და გუბერნიაში. უმართებულესი სენატი არ დაიყოვნებს ამის აღსრულებისათვის მოახდინოს შესაფერი განკარგულებანი ნამდვილზედ აწერია მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით „ნიკოლოზი“. ცარსკოე სელოში 11 იანვარს დაინიშნა გენერალ-მაიორი ტრეპოვი პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორად. დათხოვნილ იქმნა პეტერბურგის ქალაქპეტი გენერალ-ლეიტენანტი ფულლონი. უმაღლესის კარის ეგერ-მეისტერი ლინდერი დაინიშნა ფინლიანდიის მინისტრად სტატს-სეკრეტარად.

ლონდონი, 11 იანვარი. როგორც «ლლოიდი» იუწყება ვლადივოსტოკიდან, რუსის ესკადრა ემზადება ხელ ახლა დაეცეს იაპონელთა სავაჭრო გემებს. კრეისერებს «როსსია»-სა და «გრომობოის»-სთან გაჰყვებიან ნაღმოსნები. ადმირალი კამიმურა საჩქაროდ გაეშურა ჩრდილოეთისაკენ რუსთა გემების წინ დასახვედრად. ლონდონის საზღვაო დამზღვევი საზოგადოებანი ჰფიქრობენ, რომ ვლადივოსტოკის ესკადრა წავა სანაზმირე გემების მისაგებებლად, რომელნიც კი ნავთსადგურს მიუახლოვდებიან. რუსის გემები აპირობენ ახლო-მახლო მცურავი იაპონელთა ნაღმები გააძევონ შორს.

ტოკიო. ოფიციალურს მოხსენებაში ნათქვამია, რომ 10 იანვარს იაპონელთა მოწინავე რაზმმა შეაწუხა ესკადრონი კავალერიისა ბეიციხუს მახლობლადაო. იაპონელთა მეორე რაზმმა იმავე დღეს დაახევინა უკან იალუზე რუსთა რაზმს. რუსებს მოუკლეს და დაუჭრეს 20 კაცი. იაპონელებმა ტყვედ შეიპყრეს 5 აფიცერი და ჯარის-კაცი.

კოლომბო. გერმანის გემი «დორტმუნდი» აქ არის. გემის აფიცრები ამბობენ, რომ განგებ ავრცელებდნენ ხმას, ვითომ ბალტიის ესკადრა მადაგასკარს ახლო იყოვო.

ბერლინი. მთავარს ფერდინანდს 13 იანვარს ელიან და სამხედრო პატივისცემით მიეგებებიან. მთავარი ჩამოხდება სასახლეში და 16 იანვრამდე დარჩება. თან არც ერთი მინისტრი არ ახლავს.—განზრახულია ამ დღეებში უმავთულო ტელეგრაფი გაიმართოს ბერლინსა და ვენას შორის. სცადეს კიდეც ეს საქმე და ცდას კარგი შედეგი მოჰყვა.

პარიჟი. უნდა ვიფიქროთ, რომ პარლამენტი დიდს ფულს გადასდებს ინდოჩინეთის დასაცველად და ფლოტის გასაძლიერებლად. ყვითელი საფრთხე თან და თან უფრო საშიშრად მიაჩნიათ. მანჯურიის ომმა მხოლოდ შემდეგისათვის გადასდო მოსალოდნელი ბრძოლა ინდოჩინეთში. რუსეთმა მეხის ამცდენის მაგიერობა გასწია საფრანგეთისათვის.

რეველი, 12 იანვარი. გაფიცვა დაიწყო. მუშაობა მოსპეს ვაგონების მატარებელმა მუშებმა და რკინის გზის ყველა სახელოსნოებმა. გაფიცულნი გულ-დამშვიდებულნი არიან.

დროებით რედაქტორი **ზრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

*) რედაქცია მოწმობს, რომ ზემოხსენებული ცნობა არც ი. ივანიძესა და არც სხვა რომელისამე არტისტს რედაქციისათვის არ გადმოუცია.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთექვსმეტე

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პა
რებისთვის და მოზრდილთათვის.

«ჯეჯილში» მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.

რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონის ძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლად.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს «ჯეჯილის» ნომრებში ნახატები ფერ
წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა და სხვა სასიამოვ
და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი «ჯეჯილი» მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლ
სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილისს გარე
გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—«წერა-კითხვის გამ. საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцов
ул, д. Груз. Двор., № 101), და თვით «ჯეჯილი»-ს რედაქციაში (Артиллер
№ 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журн
ла „Джеджили“*.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.

1905 г. **Таразъ** XVI г.

Художественно-литературно-научно-критическій ежедневный, единственный иллюстрированный на армянскомъ языкѣ журналъ ТАРАЗЪ въ 1905 г. будетъ выходить по той же разнообразной и широкой программѣ, какъ въ прошедшіе XV лѣтъ. *Цѣль, направленіе и стремленіе* ТАРАЗА—распространеніе среди армянъ правильныхъ взглядовъ на красное, доброе и полезное.

Литература, Наука, Искусство, Воспитаніе, Критика составляютъ основу журнала ТАРАЗЪ Газетные отдѣли ТАРАЗА—Правит. распоряженія, Телеграммы, Корреспонденціи со всѣхъ угловъ Кавказа, Закавказа, Закаспійскаго края, равно съ умствен. промыш. центровъ Имперіи, заграницы и пр. дѣлаютъ ТАРАЗЪ необходимымъ органомъ печати для всѣхъ слоевъ общества, а отдѣлы Гигіены, Развлеченій, Домашняго Хозяйства, Модъ, Музыки и т. д.—популярнымъ изданіемъ во всѣхъ семействахъ. Годовая плата ТАРАЗА съ пересылкою и доставкою 6 р., заграницу 10 р. Отдѣльные №№ 20 к. Подписчикъ ТАРАЗА, который выпишетъ и ежемѣсячн. жур. АГБЮРЪ, доплачивая 1 р. получитъ премію.

Адресъ: тифлисъ, Редакція журТАРАЗЪ.

Tiflis, Caucase, Redaction de Ia Revue TARAZ

Редакторъ-издатель Т. R. Назарьянъ

1905 г. **Агбюръ** XVI

Иллюстрированный на армянскомъ яв
кѣ, единственный журналъ АГБЮР
для *дѣтей, родителей и наставнико*

Задача журнала АГБЮРЪ—*пр
вильное воспитаніе и обученіе подр
стающаго поколенія, любовь къ прир
дѣ, наукѣ и къ ближнему.* Богат
программа журнала АГБЮРЪ дае
полную возможность редакціи широ
и многосторонне обхватывать вопр
сы, интересующіе подрастающее п
коленіе и ихъ родителей—наставн
ковъ. Годовая плата жур. АГБЮР
3 р., заграницу 5 р *Премію* полу
ютъ лишь тѣ изъ подписчиковъ А
БЮРА, которые одновременно зап
шутся и на *художественно-литер
туръ еженедѣльный нашъ жур. ТАРАЗ*

Адресъ: Тифлисъ. Редакція жу
АГБЮРЪ.

Tiflis, Caucase, R daction de Revue AGBUR.

Редакторъ-издатель Т. Я. Назарья

◆ სადღესასწაულო საჩუქარი ◆

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში
«ქართველ ქალთა წრის» მიერ გამოცემული

„ზღაპრები“

წიგნში მოთავსებულია მხატვრის ო. შმერლინგის მიერ დასურათებულ
ჩვიდმეტი ხალხური ზღაპარი. წიგნი დიდის ფორმატისაა, შეიცავს 160 გვერ
და ღირს 1 მანეთად 30 კაპ.

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ახალი გამოცემა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა

საქართველოს კალენდარი

1905 წ.

კალენდარი შეიცავს 620 გვ.—კალენდარი დასურათებულია 88 სურათით.
გარდა სხვა მრავალის წერილისა და ცნობისა კალენდარში მოთავსებულია ვრც
ლი **სალიტერატურო** განყოფილება შემდეგის შინაარსით: სამშობლოსამღ
ევდოშვილისა.—უცხოეთიდან, მისივე.—ყურყუმალაები, აკაკისა.—გოდება
რაელთა, მისივე.—სიმღერა, ახობაძისა.—საახალწლო სურათი, ნ. ნაკაშიძისა.
მადნის მთხრელები, კ. ჯაფარიძისა.—პატარა სიმღერები, დ. მეგრელისა.—სდ
არე მარე, ახოსპირელისა.—გოდება მაგდალინელისა, განდეგილისა.—ჩემს მეგო
რებს, კ. გოგოლაძისა.—მწარე ღიღინი, შ. მღვიმელისა.—ეკალი მისივე.—შ
ლერი, ი. გომართელისა.—ბატონყმობა ჩვენში.—გლეხების განთავისუფლება.
სპენსერი.—ნ. მიხაილოვსკი.—შორეული აღმოსავლეთის საქმეები.—ქალი და
სი განათლება.—სიონიზმი და სხ.

ფასი კალენდრისა 70 კაპ.

გამოვიდა და იყიდება აგრეთვე ყველგან

1) ვრცელი **კედლის კალენდარი**, ფასი 50 კაპ.
2) ქართულ სიტყვიერების ისტორია, ა. ხახანაშვილისა, ფასი 1 მ. 25
3) რჩეული ლექსები ქართველ პოეტებისა, წ. II. ფასი 25 კაპ.

Дозволено цензурою Тифлисъ, 12 января, 1904 г.
Тип. Е. И. Хеладве. Русск. базаръ домъарм. семинаріи.